

აფილირებული აკადემიური/აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვისა და ანაზღაურების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

აფილირებული აკადემიური/აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვისა და ანაზღაურების წესი (შემდგომში - წესი) ადგენს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) დასაქმებული აფილირებული აკადემიური/აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას, შრომის ანაზღაურების გაანგარიშების წესსა და პირობებს და პერსონალის დატვირთვისთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციულ საკითხებს.

მუხლი 2. აფილირებული აკადემიური/აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვა

1. აფილირებული აკადემიური/აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვა შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ ისეთი სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტის განხორციელებაში ჩართულობას, რა მიმართულებითაც პირს უდასტურდება კვალიფიკაცია ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით დადგენილი წესით.

2. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა).

3. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით.

4. დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული მაგისტრანტის და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ უახლესი ცოდნით აღჭურვილი პირი, რომელსაც აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება მაგისტრანტის/დოქტორანტის სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას.

5. აფილირებული აკადემიური/აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის განსაზღვრისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს აფილირებული აკადემიური/აკადემიური პერსონალის დატვირთვის ყველა იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც მას უკავია აკადემიური ან/და სამეცნიერო თანამდებობა ან თანამშრომლობს მასთან როგორც მოწვეული პერსონალი. აფილირებული აკადემიური/აკადემიური პერსონალი/მოწვეული პერსონალი ვალდებულია ყოველი სემესტრის დაწყებამდე 2 კვირით ადრე უნივერსიტეტს წერილობითი ფორმით წარმოუდგინოს ინფორმაცია მისი სხვა უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსალოდნელი დატვირთვის შესახებ. აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 6 საათს.

6. აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვა მოიცავს: სასწავლო, სამეცნიერო და სხვა სახის დატვირთვას, რომელიც უკავშირდება სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას. აფილირებული აკადემიური პერსონალის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს. აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია შეასრულოს „აკადემიური პერსონალის აფილირების წესით“ განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები.

7. იმ აკადემიური პერსონალის სასწავლო/სამეცნიერო დატვირთვა და შრომის ანაზღაურების ოდენობა, რომელიც არ არის უნივერსიტეტთან აფილირებული განისაზღვრება მხარეებს შორის გაფორმებული შრომის ხელშეკრულებით. არააფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო დატვირთვაში შედის მხოლოდ სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა.

8. აფილირებული პროფესორის სასწავლო დატვირთვა მოიცავს: კვირეულ სააუდიტორიო 10 საათს და საკონსულტაციო 2 საათს, საგამოცდო პროცესისთვის საკითხების მომზადებისა და ნაშრომების გასწორებისთვის დახარჯული დროის პერიოდს, საბაკალავრო ნაშრომისა და პრაქტიკის ხელმძღვანელობას. აფილირებული პროფესორის სამეცნიერო დატვირთვა მოიცავს: სტუდენტის სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობას. აფილირებული პროფესორი ვალდებულია ამ წესის დანართი N1-ით გათვალისწინებული აქტივობებიდან ყოველწლიურად დააგროვოს 70 A ქულა, მე-3 წლის ბოლოს 1 B ქულა, მე-5 წლის ბოლოს კი 4 B ქულა. ყოველი წლის ბოლოს 90 A ქულის დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური წახალისება 500 ლარის ოდენობით, მე-3 წლის ბოლოს 1 B ქულის დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური წახალისება 2000 ლარის ოდენობით, ხოლო მე-5 წლის ბოლოს 4 B ქულის დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური წახალისება 3000 ლარის ოდენობით.

9. აფილირებული ასოცირებული პროფესორის სასწავლო დატვირთვა მოიცავს: კვირეულ სააუდიტორიო 12 საათს და საკონსულტაციო 2 საათს, საგამოცდო პროცესისთვის საკითხების მომზადებისა და ნაშრომების გასწორებისთვის დახარჯული დროის პერიოდს, საბაკალავრო ნაშრომისა და პრაქტიკის ხელმძღვანელობას. ასოცირებული პროფესორის სამეცნიერო დატვირთვა მოიცავს: სტუდენტის სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობას. აფილირებული ასოცირებული პროფესორი ვალდებულია ამ წესის დანართი N1-ით გათვალისწინებული აქტივობებიდან ყოველწლიურად დააგროვოს 60 A ქულა, მე-3 წლის ბოლოს 1 B ქულა, მე-5 წლის ბოლოს 3 B ქულა. ყოველი წლის ბოლოს 80 A ქულის დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური წახალისება 400 ლარის ოდენობით, მე-3 წლის ბოლოს 1 B ქულის დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური წახალისება 1500 ლარის ოდენობით, ხოლო მე-5 წლის ბოლოს 3 B ქულის დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური წახალისება 2500 ლარის ოდენობით.

10. აფილირებული ასისტენტ პროფესორის სასწავლო დატვირთვა მოიცავს: კვირეულ სააუდიტორიო 14 საათს და საკონსულტაციო 2 საათს, საგამოცდო პროცესისთვის საკითხების მომზადებისა და ნაშრომების გასწორებისთვის დახარჯული დროის პერიოდს. საბაკალავრო ნაშრომისა და პრაქტიკის ხელმძღვანელობას. აფილირებული ასისტენტ-პროფესორი ვალდებულია ამ წესის დანართი N1-ით გათვალისწინებული აქტივობებიდან ყოველწლიურად დააგროვოს 50 A ქულა, მე-3 წლის ბოლოს 1 B ქულა, მე-5 წლის ბოლოს 2 B ქულა. ყოველი წლის ბოლოს 70 A ქულის დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური წახალისება 300 ლარის ოდენობით, მე-3 წლის ბოლოს 1 B ქულის დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური წახალისება 1000 ლარის ოდენობით, ხოლო მე-5 წლის ბოლოს 2 B ქულის დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური წახალისება 2000 ლარის ოდენობით.

11. აფილირებული ასისტენტის სასწავლო დატვირთვა მოიცავს: კვირეულ სააუდიტორიო 16 საათს და საკონსულტაციო 2 საათს, საგამოცდო პროცესისთვის საკითხების მომზადებისა და ნაშრომების გასწორებისთვის დახარჯული დროის პერიოდს. საბაკალავრო ნაშრომისა და პრაქტიკის ხელმძღვანელობას. აფილირებული ასისტენტი ვალდებულია ამ წესის დანართი N1-ით გათვალისწინებული აქტივობებიდან ყოველწლიურად დააგროვოს 40 A ქულა. ყოველი წლის ბოლოს 60 A ქულის დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური წახალისება 200 ლარის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ აფილირებული ასისტენტი დამატებით შეასრულებს ამ წესის დანართი N1-ით გათვალისწინებული აქტივობის 1 B ქულას 3 წლის ბოლოს წახალისების სახით მიეცემა 900 ლარი, ხოლო მე-5 წლის ბოლოს 2 B ქულის დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური წახალისება 1600 ლარის ოდენობით.

12. აფილირებული აკადემიური/აკადემიური პერსონალი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/მოდულიზაცია/განვითარების პროცესში, ასევე საუნივერსიტეტო ღონისძიებებსა და აქტივობებში, საუნივერსიტეტო კომისიების მუშაობაში. აღნიშნული აქტივობები არ ექვემდებარება დამატებით ანაზღაურებას (გარდა ისეთი კომისიებისა, რომლის წევრობისთვის განსაზღვრულია ანაზღაურება).

13. უნივერსიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის შესაძლებელია დადგინდეს ამ წესისგან განსხვავებული დატვირთვის ან/და ანაზღაურების ოდენობა, რომელიც აისახება საშტატო განრიგსა და შრომის ხელშეკრულებაში.

14. აფილირებულ აკადემიურ/აკადემიურ პერსონალს ყოველსემესტრულად უნდა ჰქონდეს სააუდიტორიო დატვირთვა კვირაში არანაკლებ 6 საათის ოდენობით. ზედიზედ ორი სემესტრის განმავლობაში ამ პუნქტით დადგენილი მინიმალური სააუდიტორიო დატვირთვის არქონის შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეწყვიტოს აფილირებულ აკადემიურ/აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული შრომის ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში, თუ აფილირებული

აკადემიური/აკადემიური პერსონალის კვირეული სააუდიტორიო დატვირთვა იქნება 6 საათზე ნაკლები, იგი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა.

15. აფილირებულ აკადემიურ/აკადემიურ პერსონალთან არ შეიძლება დამატებით გაფორმდეს შრომის ხელშეკრულება, როგორც მოწვეულ პერსონალთან.

16. მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო დატვირთვის ზღვრული ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მისი დატვირთვა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც.

17. დატვირთვების განსაზღვრისას უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის შესაბამისი საათების განაწილება და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს პერსონალი.

მუხლი 3. იმ აფილირებული აკადემიური/აკადემიური პერსონალის დატვირთვა, რომელსაც იმავდროულად უჭირავს ადმინისტრაციული თანამდებობა

1. შეთავსებით ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი აფილირებული აკადემიური/აკადემიური პერსონალის, ზღვრული სასწავლო დატვირთვა შეადგენს:

- ა) სააუდიტორიო დატვირთვა - კვირაში არაუმეტეს 4 საათისა;
- ბ) საკონსულტაციო საათები - კვირაში 1 საათი;
- გ) საგამოცდო პროცესისთვის საკითხების მომზადებისა და ნაშრომების გასწორებისთვის დახარჯული დროის პერიოდს;
- დ) ერთი აკადემიური წლის განმავლობაში საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა არაუმეტეს 2 სტუდენტისა.

2. აფილირებული აკადემიური პერსონალის, რომელსაც იმავდროულად უკავია ადმინისტრაციული თანამდებობა სამეცნიერო დატვირთვა მოიცავს: სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობას (სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა არაუმეტეს 1 სტუდენტისა, სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა არაუმეტეს 1 დოქტორანტისა - ერთი აკადემიური წლის განმავლობაში). აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია ყოველწლიურად დააგროვოს ამ წესის დანართი N1-ით გათვალისწინებული აქტივობებიდან 20 A ქულა, მე-3 წლის ბოლოს 1 B ქულა, მე-5 წლის ბოლოს 2 B ქულა. ყოველი წლის ბოლოს 40 A ქულის დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური წახალისება: პროფესორს - 500 ლარის ოდენობით, ასოცირებული პროფესორისთვის 400 ლარის ოდენობით, ასისტენტ პროფესორისთვის 300 ლარის ოდენობით, ასისტენტისთვის 200 ლარის ოდენობით. მე-3 წლის ბოლოს 1 B ქულის დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური წახალისება: პროფესორს - 2000 ლარის ოდენობით, ასოცირებული პროფესორისთვის 1500 ლარის ოდენობით, ასისტენტ პროფესორისთვის 1000 ლარის ოდენობით, ასისტენტისთვის 900 ლარის ოდენობით. მე-5 წლის ბოლოს 2 B ქულის დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური წახალისება: პროფესორს - 3000 ლარის ოდენობით,

ასოცირებული პროფესორისთვის 2500 ლარის ოდენობით, ასისტენტ პროფესორისთვის 2000 ლარის ოდენობით, ასისტენტისთვის 1600 ლარის ოდენობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ აფილირებული აკადემიური პერსონალი ვერ უზრუნველყოფს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობას, ერთი სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა უთანაბრდება 2 სამაგისტრო ან 3 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობას. ხოლო 1 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა 2 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობას.

4. ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფ პირთან შესაძლებელია გაფორმდეს შრომის ხელშეკრულება, როგორც მოწვეულ პერსონალთან. სააუდიტორიო დატვირთვის ზღვრული ოდენობა შეადგენს 4 საათს, ხოლო საკონსულტაციო საათების - 1 საათს.

მუხლი 4. პერსონალის შრომის ანაზღაურების წესი

1. აფილირებულ აკადემიურ პერსონალს შრომის ანაზღაურება მიეცემა ყოველთვიურად. აფილირებული პროფესორის შრომის ანაზღაურება შეადგენს 1700 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით და ნაწილდება შემდეგნაირად: სასწავლო და სამეცნიერო. აღნიშნული თანხა მოიცავს საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობასაც. შრომის ანაზღაურების ზღვრულ ოდენობაში 1 საათის ღირებულება გაანგარიშებულია 38 ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით, ხოლო ნაშრომების ხელმძღვანელობა ამ წესის მე-5 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ოდენობით.

2. აფილირებული ასოცირებული პროფესორის შრომის ანაზღაურება შეადგენს 1400 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით და ნაწილდება შემდეგნაირად: სასწავლო და სამეცნიერო. აღნიშნული თანხა მოიცავს საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობასაც. შრომის ანაზღაურების ზღვრულ ოდენობაში 1 საათის ღირებულება გაანგარიშებულია 28 ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით, ხოლო ნაშრომების ხელმძღვანელობა ამ წესის მე-5 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ოდენობით.

3. აფილირებული ასისტენტ-პროფესორის შრომის ანაზღაურება შეადგენს 1050 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით და ნაწილდება შემდეგნაირად: სასწავლო და სამეცნიერო. აღნიშნული თანხა მოიცავს საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობასაც. 1 საათის ღირებულება შეადგენს 24 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით. ხოლო ნაშრომების ხელმძღვანელობა ამ წესის მე-5 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ოდენობით.

4. აფილირებული ასისტენტის შრომის ანაზღაურება შეადგენს 950 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით და ნაწილდება შემდეგნაირად: სასწავლო და სამეცნიერო. აღნიშნული თანხა მოიცავს საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობასაც. 1 საათის ღირებულება შეადგენს 20 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით. ხოლო ნაშრომების ხელმძღვანელობა ამ წესის მე-5 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ოდენობით.

5. მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება განხორციელდება საათობრივი წესით. საკონსულტაციო საათის რაოდენობა კვირაში შეადგენს 1 საათს და სემესტრულად მისთვის განსაზღვრულია თანხა 80 ლარის ოდენობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით. საგამოცდო საკითხების შედგენის/ნაშრომების გასწორების საათები არ ექვემდებარება ანაზღაურებას. დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება 1 სააუდიტორიო საათისთვის შეადგენს 20 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირის შემთხვევაში 1 სააუდიტორიო საათისთვის ანაზღაურება შეადგენს 18 ლარს. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისთვის შრომის ანაზღაურება განხორციელდება ამ წესის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი ოდენობით. შესაძლებელია დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანებით დადგინდეს განსხვავებული ანაზღაურების ოდენობა.

6. აფილირებულ აკადემიურ პერსონალს/აკადემიურ პერსონალს, რომელსაც ამავდროულად უკავია ადმინისტრაციული თანამდებობა შრომის ანაზღაურება ჩატარებული სააუდიტორიო საათებისთვის მიეცემა ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი ოდენობით, ხოლო საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობისთვის - ამ წესის მე-5 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით დადგენილი ოდენობით.

7. აფილირებულ აკადემიურ/აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს, რომელიც ამავდროულად არის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად შესაძლებელია მიეცეს ანაზღაურება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

8. ამ წესის მე-2 მუხლის მე-8-მე-11 პუნქტებით თითოეული აკადემიური თანამდებობისთვის განსაზღვრული სააუდიტორიო დატვირთვის არასრულად შევსების შემთხვევაში ანაზღაურება დაკორექტირდება მე-4 მუხლის პირველი - მე-4 პუნქტებით განსაზღვრული თანხის ოდენობის გათვალისწინებით.

9. ამ წესის მე-2 მუხლის მე-8-მე-11 პუნქტებით თითოეული აკადემიური თანამდებობისთვის განსაზღვრული სააუდიტორიო დატვირთვის ზღვრულ ოდენობაზე მეტად დატვირთვის შემთხვევაში, ყოველი დამატებითი სააუდიტორიო საათისთვის პერსონალის შრომა ანაზღაურდება საათობრივი წესით, მოწვეული პერსონალისათვის დადგენილი სარგოს გათვალისწინებით.

10. იმ შემთხვევაში, თუ აფილირებული აკადემიური/აკადემიური პერსონალი ვერ უზრუნველყოფს საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობას იგი უფლებამოსილია სააუდიტორიო დატვირთვის ხარჯზე შეივსოს შრომის ანაზღაურების სრული ოდენობა. ამ შემთხვევაში სააუდიტორიო საათის ღირებულება დაანგარიშდება ამ მუხლის პირველი-მე-4 პუნქტებით დადგენილი ოდენობის მიხედვით.

11. იმ აფილირებულ აკადემიურ/აკადემიურ პერსონალს, რომელსაც იმავდროულად უჭირავს ადმინისტრაციული თანამდებობა შრომის ანაზღაურება მიეცემა იმ თანამდებობისთვის, რომლისთვისაც უფრო მეტი სარგოა გათვალისწინებული.

მუხლი 5. საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის/პრაქტიკის ხელმძღვანელობის წესი

1. აფილირებული პროფესორი/პროფესორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი/ასოცირებული პროფესორი უფლებამოსილია იყოს არაუმეტეს 6 სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი. აფილირებული ასისტენტ პროფესორი/ასისტენტ პროფესორი/აფილირებული ასისტენტი/ასისტენტი უფლებამოსილია იყოს 4 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი. სემესტრული ანაზღაურება თითოეული საბაკალავრო ნაშრომისთვის შეადგენს 100 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით. თითოეული საბაკალავრო ნაშრომისთვის სემესტრის განმავლობაში გასაწევი საკონსულტაციო პერიოდი შეადგენს 7 საკონტაქტო საათს.

2. აფილირებული პროფესორი/პროფესორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი/ასოცირებული პროფესორი უფლებამოსილია იყოს არაუმეტეს 4 სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. სემესტრული ანაზღაურება თითოეული სამაგისტრო ნაშრომისთვის შეადგენს 200 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით. თითოეული სამაგისტრო ნაშრომისთვის სემესტრის განმავლობაში გასაწევი საკონსულტაციო პერიოდი შეადგენს 10 საკონტაქტო საათს.

3. აფილირებული პროფესორი/ასოცირებული პროფესორი უფლებამოსილია იყოს არაუმეტეს 3 სტუდენტის სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი. სემესტრული ანაზღაურება თითოეული სადოქტორო ნაშრომისთვის შეადგენს სემესტრულად 400 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით. თითოეული დოქტორანტისათვის სემესტრის განმავლობაში გასაწევი საკონსულტაციო პერიოდი შეადგენს 15 საკონტაქტო საათს.

4. აფილირებული აკადემიური/აკადემიური/მოწვეული პერსონალი უფლებამოსილია იყოს არაუმეტეს 2 ჯგუფის პრაქტიკის ხელმძღვანელი. ანაზღაურება განხორციელდება მოწვეული პერსონალის ანაზღაურების წესით საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით. ხელმძღვანელის საათობრივი დატვირთვა

განისაზღვრება „პრაქტიკის დებულებით“/შესაბამისი პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსით.

5. აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტით გათვალისწინებული დატვირთვა შეასრულოს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში.

6. იმ შემთხვევაში, თუ აფილირებული აკადემიური პერსონალი ვერ უზრუნველყოფს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობას, ერთი სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა უთანაბრდება 2 სამაგისტრო ან 3 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობას. ხოლო 1 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა 2 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობას.

მუხლი 6. გარდამავალი დებულებები.

1. ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის ამოქმედდეს 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან.

2. ამ წესის ძალაში შესვლამდე ჩარიცხული დოქტორანტების ხელმძღვანელობისთვის მოწვეულ პერსონალს სემესტრულად მიეცემა ანაზღაურება 300 ლარის ოდენობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

აქტივობა	A	B
საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებად (Peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია, ინდექსირებული Scopus, SCImago Journal and Country Rank, Web of Science მი-მიერ	30	1
რეცენზირებად (Peer-reviewed) სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია	20	
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (საკონფერენციო მასალებში გამოქვეყნებული სტატიით)	30	1
დოკუმენტების პუბლიკაციები (სამეცნიერო კომენტარებით)	10	
მაღალრეიტინგული რეცენზირებული სამეცნიერო მონოგრაფია, საერთაშორისო რეცენზირების მქონე (Peer-reviewed), ინდექსირებული SCImago Journal and Country Rank, Scopus-ის მიერ.	30	1
სახელმძღვანელო (არანაკლებ 100 გვერდისა)	20	
სახელმძღვანელოს თარგმანი (არანაკლებ 100 გვერდისა)	10	
ლექსიკონი (არანაკლებ 100 გვერდისა)	20	
სალექციო კურსი	20	
საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა	25	
ეროვნულ, მათ შორის შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა	10	
ეროვნული, მათ შორის შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება	20	
ეროვნული/საერთაშორისო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელობა	25	1
საერთაშორისო სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა (ფუნქციები უნდა ითვალისწინებდეს სამეცნიერო აქტივობებს)	10	0.5
ეროვნულ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა (ფუნქციები უნდა ითვალისწინებდეს სამეცნიერო აქტივობებს)	10	0.5